



საკონსტიტუციო სარჩელის პრეზენტაცია

2015 წლის 8 აპრილი

დავის საგანი

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისი დებულებები, რომლებიც აწესრიგებენ:
 1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პირდაპირი წვდომის შესაძლებლობა სატელეკომუნიკაციო სერვერებზე;
 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მონაცემთა ბაზების კოპირება საკომუნიკაციო სერვერებზე პირდაპირი წვდომის საშუალებით და მათი შენახვა;

კონსტიტუციის შესაბამისი მუხლები

- საქართველოს კონსტიტუციის **მე-20 მუხლის პირველი პუნქტი**, რომლითაც გარანტირებულია ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრების, საქმიანობის ადგილის, მიმოწერისა და საუბრის ხელშეუხებლობა;
- საქართველოს კონსტიტუციის **მე-16 მუხლი**, რომელიც ადგენს პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას;
- საქართველოს კონსტიტუციის **41-ე მუხლის მე-2 პუნქტი**, რომლის მიხედვითაც რომლის მიხედვითაც ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არავისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე.

პირდაპირი მიერთება სატელეკომუნიკაციო სერვერებთან

სარჩელში წარმოდგენილია **სამი**
ალტერნატიული საფუძველი, რომლითაც
ვასაბუთებთ სატელეკომუნიკაციო ხაზებზე
შსს-ს პირდაპირი მიერთების
არაკონსტიტუციურობას:

ალტერნატივა #1

1. საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლს ეწინააღმდეგება ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს (და ზოგადად აღმასრულებელი ხელისუფლების) მიერ ხდება სატელეკომუნიკაციო ხაზებზე პირდაპირი მიერთება;
2. არსებობს უფლების უფრო ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიებები, რომელიც შესაბამისი სახელმწიფო მიზნების მიღწევას შესაძლებელს გახდის (ორ გასაღებიანი სისტემა კერძო კომპანიების ჩართულობით; შსს-დან ფარული მიყურადების განხორციელების გამოყოფა და სხვა სახელმწიფო ორგანოსთვის გადაცემა);

ალტერნატივა #2

- პირდაპირი მიერთების დღეს მოქმედი მოდელი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლს:
 1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის დუალისტური ფუნქცია და როლი (აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ფუნქციები);
 2. შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისის შსს-ს მიერ შექმნა და დანერგვა;
 3. კავშირგაბმულობის არხებზე წვდომა არ ექცევა ორეგაპიან ელექტრონულ სისტემაში (მხოლოდ სატელეფონო საუბრის მიყურადებაზე ვრცელდება აღნიშნული);

ალტერნატივა #3

- პირდაპირი მიერთების დღეს მოქმედი მოდელი ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს:

მსუსხავი ეფექტის არგუმენტი

(ხალხი თავს შეიკავებს ტექნიკური საშუალებებით კომუნიკაციის განხორციელებისგან, როდესაც ეცოდინებათ რომ მულტივი მიერთების შესაძლებლობა აქვს შინაგან საქმეთა სამინისტროს)

გმადლობთ ყურადღებისთვის!

